საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ციალა უჯმაჯურიძეს

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის
დეპარტამენტის უფროსის სერგო შავგულიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ციალა,

მიმდინარე წლის 4 აგვისტოს №10/5529-15 თქვენი სამსახურებრივი ბარათის თანახმად წარმოგიდგენთ "სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გამოსათვლელი" კალკულატორის გამოყენებით გამოთვლილ გადასახადს (იხ. დანართი) შპს „კორტესი გიდაგოს" კუთვნილი №B 7 ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, თანხამ შეადგინა 10692 (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი ლარი) ლარი.

დანართი: 2 ფურცელზე.

[signature] 6.08.2015

ს. შავგულიძე

შემოსულია №10/5602-15
06.08.15
1+8 ფურცელი

B 7 ლიცენზიის ტექნიკური პარამეტრები

№	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)
1	თბილისის სატელევიზიო ანძა	96.3	FM	V	წრიული	1000	N 41°41'44" E 44°47'6"	100

შენიშვნა: გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500 მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ).

სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა

ლიცენზიის სახეობა : ks=1 (სარელეო, საეთერო)

სიხშირე :	96,30	მგჰც	ტევადუნარიანობის კოეფიციენტი (Kq) :	1,80
სიხშირული ზოლი :	0,30	მგჰც	ზოლის სიგანის განსაზღვრული ღირებულება (Pf) :	4 500,00
სიმძლავრე :	1 000,00	ვატი	სიმძლავრის კოეფიციენტი (Kp) :	1,10

ტერიტორია	სადგურების რაოდენობა	სიმძლავრე	თანხა	Kg	Kn	Knp
თბილისი	1,00	1 000,00	10 692,00	1,20	1,00	0,3231

სულ : 10 692,00

Kg - გეოგრაფიული კოეფიციენტი
Kn - სადგურების რაოდენობის კოეფიციენტი

Kn - სადგურების რაოდენობის წილობრივი კოეფიციენტი
გეოგრაპიული ზონის შესაბამისად

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსს
ბ-ნ ს. შავგულიძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებლის ც. უჯმაჯურიძის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ნოდარ,

კომისიაში შემოსულია შპს "კორტესი გიდაგოს" წერილი რადიომაუწყებლობის №B7 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: შპს "კორტესი გიდაგოს" წერილის ასლი (№Ш-7/4532-15, 06/07/2015) – 1 ფურც.

პატივისცემით,

ც. უჯმაჯურიძე
04.08.2015

№10/1525
04 08 15

ბ-ნ ი. ხარებავას

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმის წარმოება.

ვ. აბაშიძე
06.07.2015წ.

შპს. კორტესი გიდაგო CORTES-GID

№ კ-07/07-2015

07 ივლისი , 2015 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

მოგეხსენებათ , შპს „კორტესი გიდაგო"-მ (ს/კ 204907985) (რადიო „ჯაკო") 2005 წლის 23 სექტემბერს მიიღო სამაუწყებლო ლიცენზია (კერძო საეთერო რადიომაუწყებლობა სალიცენზიო მოწმობა NB7) და უკვე მეათე წელია მაუწყებლობს რადიოსივრცეში. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის თანახმად, „ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ლიცენზიის მოქმედება ერთხელ, იმავე ვადით გრძელდება ავტომატურად, თუ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ამ პერიოდში არ ყოფილა გამოყენებული 72-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები". მიმდინარე წლის 23 სექტემბერს შპს „კორტესი-გიდაგო"-ს ეწურება ლიცენზიის მოქმედების ვადა. მაუწყებლობის შესახებ კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, შპს „კორტესი-გიდაგოს" ავტომატურად გაუგრძელდეს ლიცენზიის(NB7) მოქმედების ვადა.

დირექტორი:

მიხეილ ტარახჩევი

საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 49 ტელ: (+995-32) 39-15-64 ფაქსი: (+995 32) 93-68-29

49 Al. Kazbegi street, Tbilisi, Georgia, Tel: (+995-32) 39-15-64 Fax: (+995 32) 93-68-29

06 07 2015

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

შპს "კორტესი გიდაგო"-სათვის კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

N: 612 / 1

გამოქვეყნების თარიღი: ნოემბერი 15, 2005

მიღების თარიღი: სექტემბერი 23, 2005

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ "კერძო სპეციალიზებულ (სპორტულ) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 6 მაისის N292 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ კონკურსში 2005 წლის 19 აგვისტოს N569/10 გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "კორტესი გიდაგო".

კომისია აღნიშნავს, რომ "საეთერო სპეციალიზებულ (სპორტულ) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ" კომისიის 2005 წლის 19 აგვისტოს N569/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს "კორტესი გიდაგოს" მიერ გადახდილ იქნა სალიცენზიო გადასახდელის (11.583) 20% - 2316.6 (ორი ათას სამას თექვსმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი კომისიის ანგარიშზე.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე, 38-ე და 43-ე მუხლებისა და კომისიის 2005 წლის 19 აგვისტოს საკონკურსო სხდომის N569/10 გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს შპს "კორტესი გიდაგო"-ს კერძო მაუწყებლობის N B7 ლიცენზია 10 წლის ვადით;

2. ლიცენზიის სახე: საეთერო რადიომაუწყებლობა;

ლიცენზიის სახეობა: სპეციალიზებული (სპორტული) რადიომაუწყებლობა;

3. მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა და ტექნიკური პარამეტრები:

ა) სამოქმედო ზონა: სამაუწყებლო ზონა 1, ქ. თბილისი (სამაუწყებლო ზონა განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით);

ბ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

ბ.ა.) ანტენის განთავსების ადგილი – თბილისის ანძა;

ბ.ბ.) ანტენის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები - 44E47; 41N41;

ბ.გ) ანტენის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან – 100 მ;

ბ.დ.) FM რადიო-სიხშირე – 96.3 მგჰც;

ბ.ე.) გადამცემის სიმძლავრე – 1 კვტ;

ბ.ვ.) ანტენის გასხივების დიაგრამა – წრიული;

ბ.ზ.) სამაუწყებლო ზონის საშ.რად – 25 კმ;

4. შპს "კორტესი გიდაგო" ვალდებულია:

ა) მაუწყებლობის პროცესში დაიცვას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა;

ბ) თავის საქმიანობაში დაიცვას პირთა უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მომსახურების პირობების შესაძლო ცვლილების შესახებ;

გ)კომისიას წარუდგინოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი პროგრამის დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით;

დ) წარუდგინოს კომისიას ინფორმაცია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშების თაობაზე და კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით ჩარიცხოს თანხები კომისიის ანგარიშზე;

ე) გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და განხორციელებული მომსახურების ხარისხი შეუსაბამოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნორმატივებსა და სტანდარტებს, იქონიოს შესაბამისობის სერთიფიკატი;

ვ) დაიცვას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესი;

ზ) დაიცვას ყველა ის პირობა, რომელიც მის მიერ კომისიაში ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციაში არის ასახული;

თ) უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზიით ნებადართული საქმიანობისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების მიღება;

ი) მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა;

კ) შექმნას არქივი და არანაკლებ 1 თვის განმავლობაში შეინახოს პროგრამები;

ლ) მიიღოს ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომები. უზრუნველყოს ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება. ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყოს ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.

მ) ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ნ) წერილობით აცნობოს კომისიას კომპანიის პარტნიორის, აქციონერის, წევრის, დირექტორის ან გამგეობის წევრის ცვლილების შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

ო) არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა კომისიას წარუდგინოს გასული წლის საქმიანობის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობებისა მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.

5. ლიცენზიის მფლობელის ვალდებულებები გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული ლიცენზიით;

6. შპს "კორტესი გიდაგო" ვალდებულია უზრუნველყოს პრაქტიკული საქმიანობის დაწყება და სამოქმედო ზონის დაფარვა ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის განმავლობაში;

7. შპს "კორტესი გიდაგო" ვალდებულია უზრუნველყოს რადიოსიგნალების ხარისხიანი მიღების ხელმისაწვდომობა სამაუწყებლო ზონის 90%-სათვის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 და 76-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად;

8. შპს "კორტესი გიდაგო"-მ უზრუნველყოს: ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის დაწყებამდე 10 დღით ადრე, კომისიისთვის მის მიერ მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა;

9. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დარჩენილი 80% ანუ 9.266,4 (ცხრა ათას ორას სამოცდაექვსი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი გადახდა მოხდეს შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

მიმღები	სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი
საიდენტიფიკაციო N	204953050
ბანკი	საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი	220101107
ანგარიშის N	000141408
სახაზინო ქვეანგარიში	9051

დანიშნულება	სალიცენზიო გადასახდელი

1029.6 ლარი - 2006 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2007 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2008 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2009 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2010 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2011 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2012 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2013 წლის 23 ოქტომბრამდე;

1029.6 ლარი - 2014 წლის 23 ოქტომბრამდე;

10. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (მ. ქადეიშვილი) აცნობოს შპს "კორტესი გიდაგო"-ს გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

11. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ნ.ჯანელიძე) გადაწყვეტილების ინტერნეტში კომისიის გვერდზე გამოქვეყნება;

12. დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე. ასანიძე):

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;

ბ) "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში გატარება და ლიცენზიის გაცემის თაობაზე ინფორმაციის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნება;

გ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

13. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N 1ა) ერთი თვის ვადაში;

14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (დ. ქუთათელაძე).

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი გ. ფრუიძე